საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-714

29/08/2018

ქ. თბილისი

შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 14 აპრილის N2-670 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ მიერ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იყო „შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, მიმდინარე წლის 14 აგვისტოს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-670 ბრძანება „შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.“

შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, თუმცა ბრძანების მე-5 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: ნაცვლად „ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაბა თიანეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.“ მითითებულია „ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.“ რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 14 აგვისტოს N2-670 ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თიანეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.“
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურეობის საქართველოს ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი